საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №476
2019 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016329) დამტკიცებული დებულების 27 -ე მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის პერსონალიზაცია, ცენტრის მიერ, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**